

2018 წლის 12 აპრილი
სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:

ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. #36

სხდომა გაიმართა დისტანციურ რეჟიმში.

დღის წესრიგის საკითხის დისტანციურ რეჟიმში განხილვაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: **დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, ირაკლი ყანდაშვილი, ზურაბ როსტიაშვილი, დათუნა მოდებაძე, გიორგი თევზაძე, ციციხო ცხვედიანი.**

დღის წესრიგი:

1. ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება: **მაია ლიპარტელიანი.**

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების მსურველი განმცხადებლის - მაია ლიპარტელიანის მიერ წარმოდგენილი განცხადება თანდართული დოკუმენტებით, შესაბამისობაშია “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნული განმცხადებლის ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების საკითხს მხარი დაუჭირა აღნიშნული საკითხის განხილვაში მონაწილე ყველა წევრმა. შესაბამისად, მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილებულ იქნას მაია ლიპარტელიანის მიერ ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადება.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

დავით ასათიანი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის თავმჯდომარე